



დამტკიცებულია

კადემიური საბჭოს ოქმი № 01, 15.01.2024 წ.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი



პ. ხვედელიძე

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის
სამეცნიერო-კვლევითი განვითარების სტრატეგია 2024-2030 წ.წ.

ბათუმი
2024

შინაარსი

- მუხლი 1. ზოგადი დებულებები
 - მუხლი 2. სტრატეგიის ძირითადი მიდგომები
 - მუხლი 3. სამეცნიერო, კვლევითი სტრატეგიის ძირითადი მიზნები
 - მუხლი 4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სახეები, განმახორციელებელი სტრუქტურები
 - მუხლი 5. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება
 - მუხლი 6. კვლევითი საქმიანობის შეფასების ზოგადი პრობლემები
 - მუხლი 7 სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია
 - მუხლი 8. კვლევითი საქმიანობის შეფასების ზოგადი პრობლემები
 - მუხლი 9. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნები და ამოცანები
 - მუხლი 10. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების მართვა/რეაგირება
 - მუხლი 11. დასკვნითი დებულებები
- ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

1. ზოგადი დებულებები

სამეცნიერო კვლევების განვითარების სტრატეგია (შემდგომში - „სტრატეგია“) ეფუძნება შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „ბნსუ“) მისიას, ხედვას, ღირებულებებს და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმას. ძირითად ღირებულებებს და განსაზღვრავს ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

სტრატეგიის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლებია:

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
- ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტები;
- ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მისია და შვიდწლიანი განვითარების სტრატეგია;
- წინამდებარე სტრატეგია მიზნად ისახავს ბნსუ-ს სამეცნიერო კვლევების განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას.

მუხლი 1 - სტრატეგიის ძირითადი მიდგომები

შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „ბნსუ“) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებულ ინსტიტუციურ მიდგომებს, სამეცნიერო საქმიანობის შეფასების პრინციპებს, მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს;

2. სტრატეგია მიზნად ისახავს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მისი ხარისხის ამაღლებას, აგრეთვე სწავლება/სწავლის პროცესებში სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ინტეგრაციის პროცესების გაუმჯობესებას;

3. უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის განხორციელებისას აკადემიურ თავისუფლებას, აკადემიურ და კვლევითი კეთლსინდისიერებას, განიხილავს როგორც სახელმძღვანელო პრინციპს; თავის მხრივ, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული პირები (აკადემიური/ავილირებული პერსონალი, მოწვეული სპეციალისტი, სტუდენტი, მაგისტრანტი) საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, კვლევის ხარისხზე ფოკუსირებით, კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციით, ახალგაზრდა მეცნიერთა/მკვლევართა შესაძლებლობების გაძლიერების მოტივაციით;

4. ბნსუ, მისი ძირითადი პროფილის შესაბამისად წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს კვლევით პრიორიტეტულ მიმართულებებს; კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრის დროს, შესაძლებლობების ფარგლებში, უნდა გაითვალისწინოს და დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესები და მის წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემები. კვლევითი პრიორიტეტების განვითარების მიზნით ბნსუ გამოყოფს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს;

5. ბნსუ-ს მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა ემსახურებოდეს სტუდენტთა/მაგისტრანტთა ინტერესებს. შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სწავლა-სწავლების პროცესში;

6. სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანობისთვის ბნსუ გეგმავს ითანამშრომლოს სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, კვლევით ინსტიტუციებთან, კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან, რათა შეძლოს ერთობლივი კვლევების განხორციელება ან მათში მონაწილეობის მიღება.

მუხლი 2 - სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის ძირითადი მიზნები

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტრატეგიის ძირითადი მიზნებია:

1.1. ბნსუ-ს სამეცნიერო საქმიანობის განვითარება, ხარისხის ამაღლება და სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება;

1.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა ფინანსური რესურსების ეფექტიანი, ეკონომიური და მიზნობრივი გამოყენებით, რაც გულისხმობს დასახული მიზნების მიღწევას ბნსუ-ს განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმით აქტივობების მიხედვით დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში და რესურსების კონცენტრაცია უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებზე;

1.3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის, ეფექტურობის შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება ბნსუ-ს სამეცნიერო საქმიანობის შემდგომი განვითარებისთვის;

1.4. აკადემიური/ავილირებული, პერსონალის მოტივირება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად და აშ.

1.5. საქმიანობის შედეგების გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობის ერთიანობის უზრუნველყოფის მიზნით;

- 1.5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების/მაგისტრანტების გამოვლენა, მოტივირება და ყოველმხრივი მხარდაჭერა; ახალგაზრდა თანამშრომელთა სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერა;
- 1.6. აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- 1.7. ბნსუ-ს ინტელექტუალური პოტენციალის კომერციალიზაციის პირობების შექმნა.

2. სტრატეგიის ძირითადი ამოცანები

- 2.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და მართვის მექანიზმების გაუმჯობესება;
- 2.2. სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებების (კონფერენციები, სემინარები, კვლევითი პროექტები, კომერციული კვლევები და სხვა) დაგეგმვა, ჩატარება;
- 2.3. სამეცნიერო შრომათა კრებულების, მონოგრაფიების, ჟურნალების გამოცემის უზრუნველყოფა;
- 2.4. აკადემიური/აფილირებული პერსონალის ინფორმაციული და საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა მიმდინარე და დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებებთან დაკავშირებით მათ შორის ლოკალურ და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების პროგრამების/პროექტების შესახებ საქმიანობის;
- 2.5. აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის ადმინისტრაციული (პროგრამების, პროექტების მომზადების ხელშეწყობა) და ფინანსური მხარდაჭერის ზრდა;
- 2.6. აკადემიური/აფილირებული პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის წახალისების სისტემის შექმნა;
- 2.7. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემუშავების, კონკურსისა და შიდა გრანტის მოპოვების წესის შემუშავება; კონკურსების გამოცხადება, პროექტების შერჩევა;
- 2.8. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლება, სტუდენტთა სამეცნიერო აქტივობებში ჩართვა და ადმინისტრაციულ-ფინანსური მხარდაჭერის ზრდა;
- 2.9. სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმების/კრიტერიუმების დანერგვა.

მუხლი 3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სახეები, განმახორციელებელი სტრუქტურები

- 3.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სახეები: ბნსუ-ში შეიძლება განხორციელდეს იუნესკოს განახლებული კლასიფიკატორით (ISCED-2013) განსაზღვრული სამეცნიერო საქმიანობის შემდეგი სახეები:
 - 1) თეორიული/აკადემიური;
 - 2) პრაქტიკული/პროფესიული.
- 3.2. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები და ხელშემწყობი სტრუქტურები ბნსუ-ს სამეცნიერო საქმიანობის სუბიექტებია ფაკულტეტები, რომლებიც სასწავლო საქმიანობასთან ერთად, წარმოადგენენ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელ ძირითად ერთეულებს და აკადემიური/აფილირებული პერსონალი;
- 3.3. აკადემიური/აფილირებული პერსონალის ვალდებულებაა ჩაერთოს ფაკულტეტების საკვლევო თემის განსაზღვრისა და განხორციელების პროცესში; აღნიშნული არ ზღუდავს მას განახორციელოს ამ თემატიკისაგან დამოუკიდებელი ინდივიდუალური აქტივობები, რაც ასევე, უნდა ესადაგებოდეს საუნივერსიტეტო სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს (ლოგისტიკა, ნავიგაცია, საზღვაო მეცნიერებები);
- 3.4. სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი პასუხისმგებელია სამეცნიერო ნაშრომის ხარისხზე; დაფინანსების შემთხვევაში - ფინანსური რესურსის ეკონომიურ განაწილებაზე;
- 3.5 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ერთეულები: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობაზე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელი არიან: ბნსუ-ს ადმინისტრაცია; ფაკულტეტები; ბიბლიოთეკა; კვლევების ცენტრი, ბნსუ-ს ყველა სხვა სტრუქტურული ერთეული, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ აკადემიურ პერსონალს: დაგეგმილი კვლევების ჩატარებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში; სამეცნიერო კვლევების განვითარების მიზნით შესაბამისი კონტაქტების დამყარებაში; სამართლებრივი საკითხების, საგრანტო განაცხადის მომზადებისა და წარდგენის საკითხებში და უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას; მემორანდუმების, ხელშეკრულებების მომზადება-გაფორმებაში; გრანტების ეფექტურ ადმინისტრირებასა და ანგარიშების წარდგენის პროცესში (ტექნიკური დახმარება).

მუხლი 4 ბნსუ-ს სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და ორგანიზება

- 4.1. დაგეგმვა: ბნსუ-ს სამეცნიერო საქმიანობის ერთიანი გეგმა დგება ბნსუ-ს საგანმანათლებლო მიმართულებებთან შესაბამისობაში, ფაკულტეტების გეგმების საფუძველზე და დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს; კვლევის ძირითადი საკითხის/თემის დამუშავების პროცესში ჩართული უნდა იყოს სტუდენტი/მაგისტრანტი; კვლევითი საქმიანობით დაინტერესებული სტუდენტების გამოვლენა, მოტივირება და ყოველმხრივი მხარდაჭერა ფაკულტეტების სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

4.2. ორგანიზება: ბნსუ-ში კვლევითი საქმიანობა ორგანიზებულია შემდეგნაირად:

4.2.1. წლიური სამეცნიერო კვლევა: წლიური სამეცნიერო კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებას ბნსუ ირჩევს დამოუკიდებლად, რაც ამავე დროს არის ბნსუ-ს პროფილსა და სტუდენტთა ინტერესებთან ადაპტირებული. სამეცნიერო კვლევაში ჩართული უნდა იყოს ფაკულტეტის აკადემიური/აფილირებული პერსონალი და სტუდენტები, შესაძლებელია აგრეთვე მოწვეული პერსონალის ჩართვა. კვლევას ხელმძღვანელობს ბნსუ-ს აფილირებული აკადემიური პირი;

4.2.3. მიზნობრივი საგრანტო პროექტი: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სახით, ჯგუფის მიერ, რაც მნიშვნელოვანი და ბნსუ-ში დანერგილი აქტივობაა და დამატებით ფინანსდება ბნსუ-ს გრანტით. მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტს ხელმძღვანელობს ბნსუ-ს აფილირებული პროფესორი. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარდგენის პროცედურა და მოთხოვნები პროექტის მიმართ, პროექტის შერჩევისა და გრანტით დაფინანსების წესი რეგულირდება **დოკუმენტით „მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება“**.

4.2.3. ფინანსური, ადმინისტრაციული და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის მექანიზმები: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა გაწერილია დოკუმენტში: „სამეცნიერო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები“ და შეიძლება განხორციელდეს შემდეგი წყაროებიდან:

- ბნსუ-ს ბიუჯეტიდან;
- სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებიდან, საგრანტო საპროექტო ფონდებიდან;
- ეკონომიკური აგენტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფონდებიდან;
- შიდა სამეცნიერო გრანტით.

მუხლი 5 სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია

5.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს ბნსუ-ს ინტელექტუალური გამოცდილების გაღრმავება და მისი შედეგების ინტეგრირება სასწავლო პროცესში. აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევის ინტეგრირება უზრუნველყოფილია:

ა. საბაკალავრო (არჩევის შემთხვევაში) და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით;

ბ. სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციით;

გ. თანამედროვე საერთაშორისო კვლევებისა და ბნსუ-ს მიმდინარე კვლევითი საქმიანობის შედეგების ასახვით საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში და სასწავლო ლიტერატურაში.

დ. ფაკულტეტების შიდა/გარე საგრანტო კვლევით პროექტებში სტუდენტთა ჩართულობით;

ე. სტუდენტების კურიკულუმის გარეშე აქტივობები (მათთვის გამოიზრუნული ტრენინგები და სემინარები);

ვ. სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზებით, პერიოდული გამოცემებით, ლიტერატურით.

ზ. სტუდენტებისა და პერსონალის გაცვლითი პროგრამებით და სხვა.

მუხლი 6. კვლევითი საქმიანობის შეფასების ზოგადი პრობლემები

1. უსდ-ების სამეცნიერო საქმიანობის/კვლევის ხარისხის შეფასება, როგორც ცნობილია, შედარებით ახალი იდეაა, ხოლო შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა რთული თემაა და სამეცნიერო წრეებში დღემდე აქტიური დებატების საგანს წარმოადგენს.

1.1. აკადემიურ ინსტიტუციებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, არასახელმწიფო სტრუქტურებს, ფონდებს განსხვავებული დამოკიდებულებები აქვთ ხარისხის სტანდარტების, ინდიკატორების, მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასების პოლიტიკისა და პრაქტიკის, კვლევის მნიშვნელობის ფინანსური გამოხატულების მიმართ.

1.2. ბნსუ-ს მიერ შემუშავებულ იქნა სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ინსტიტუციური წესი და შეფასების გაზომვადი ინდიკატორები/კრიტერიუმები, რითვისაც გაანალიზდა რა ¹ESQR და სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები კვლევის ხარისხის სტანდარტების, შეფასებისა და უნივერსიტეტების რეიტინგების განსაზღვრის შესახებ, აგრეთვე, სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

მუხლი 7 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნები და ამოცანები

¹ (European Society for Quality Research), IDRC (The International Development Research Center), HCERES (High Council for the Evaluation of Research and Higher Education), AUBR (Assessment of university-based research), THE (Times Higher Education's)

7.1.. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ძირითად მიზანს წარმოადგენს ფორმალური და სისტემური მიდგომის გამოყენებით ფაკულტეტების და აკადემიური/აფილირებული პერსონალის მიერ ბნსუ-ს სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი წვლილის შეფასება, რაც თავის მხრივ ემსახურება სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას;

7.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელ ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ ფაკულტეტები და მათი აკადემიური პერსონალი;

7.3. სამეცნიერო საქმიანობის შეფასება ემსახურება შემდეგ ამოცანებს:

- ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;
- ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა, მათი პრევენციის მიზნით;
- განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა და სამომავლო კვლევების დაგეგმვა;
- შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მართვა.

მუხლი 8 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა და პროცედურა

8.1. ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ფარგლებში მნიშვნელოვანია არსებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასება;

8.2. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

I ეტაპი: ყოველწლიურად აკადემიური პერსონალი ავსებს თვითშეფასების ფორმას, რომელშიც ასახულია წლის მანძილზე პერსონალის მიერ განხორციელებული აქტივობები;

II ეტაპი: რექტორის ბრძანებით იქმნება კომისია რომელიც ახდენს წინამდებარე სტრატეგიით გათვალისწინებული წესის შესაბამისად პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასებას;

III ეტაპი: შედეგები ეცნობება პერსონალსა და ფაკულტეტების დეკანებს, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს.

8.3. ამასთან, ამ წესით გათვალისწინებული თვითშეფასების ფორმის შევსებისას ვალდებულია წარმოადგინონ არსებული ინფორმაციის დამადასტურებელი მტკიცებულებები; აღნიშნული ასევე დარეგულირებულია eqe.gms.ge ბაზაში.

8.4. აკადემიური პერსონალის მიერ ამ წესით გათვალისწინებული თვითშეფასების შესაბამის ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში აღნიშნულ მაჩვენებელში მას განესაზღვრება 0 ქულა.

8.5. ბნსუ-ში აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგად გამოვლენილი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და წახალისებას კოორდინირებას უწევს ბნსუ-ს ადმინისტრაცია, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად. ეს შესაძლებლობას მისცემს ბნსუ-ს ეფექტურად გამოიყენოს მხარდამჭერი მექანიზმები კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარებისათვის.

8.6. ამ წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესს კოორდინირებას უწევს ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კვლევით ცენტრთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

მუხლი 9. ბნსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობის და ამ საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება

9.1. ბნსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობისადმი მოთხოვნებს აღწერს პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის სქემა, პერსონალის საქმიანობის შედეგებს აღწერს მათ მიერ ინდივიდუალური დატვირთვის შესრულების ყოველწლიური ანგარიში. ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმალური სავალდებულო სტანდარტი (ნორმატივი), მაგ., ყველა ან ერთ-ერთი ქვემოთ მითითებულიდან:

- 1) სამეცნიერო/კვლევითი/ინოვაციური ნაშრომი/პროექტი/პროდუქტი/სხვ. - მაგ., ქართულ/უცხოურ ენაზე მომზადებული რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია/სამეცნიერო ნაშრომი (ავტორობა/თანაავტორობა) ან/და საქართველოში გამოცემული მონოგრაფია/სამეცნიერო ნაშრომი (რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი) ან/და პუბლიკაცია/სტატია საერთაშორისო რეცენზირებად რეფერირებად იმპაქ-ფაქტორის მქონე ჟურნალში/კრებულში (ინდექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google scholar-ის მიერ) ან/და სათანადო წესით დარეგისტრირებული გამოგონება/პატენტი, სხვ.;
- 2) სამეცნიერო გრანტი - ბნსუ-ს პარტნიორების მიერ ან საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ან სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ან ბნსუ-ს მიერ მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი ან მაღალი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო პროექტი, რომელიც იქნება წარდგენილი დაფინანსების მოპოვების მიზნით;
- 3) სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით, თეზისების გამოქვეყნებით (ინ-

დექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google scholar-ის მიერ).

9.2.. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლების სისტემა შეიძლება იყოს, მაგალითად, შემდეგნაირი:

აქტივობა	მაღალი (მოიხარება ვარიანტი)	მაჩვენებელი ერთ-ერთ	საშუალო მაჩვენებელი	მინიმალური სტანდარტი
	1	2		
1. ქართულ/უცხოურ ენაზე მომზადებული რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია/სამეცნიერო ნაშრომი (ავტორობა/თანაავტორობა) საქართველოში გამოცემული მონოგრაფია/სამეცნიერო ნაშრომი (რომელსაც აქვს ISSN ან ISBN კოდი) პუბლიკაცია/სტატია საერთაშორისო რეცენზირებად რეფერირებად იმპაქ-ფაქტორის მქონე ჟურნალში/კრებულში (ინდექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google scholar-ის მიერ)	თითოეულ წელს ერთზე მეტი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთ-ერთ აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთზე მეტი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთი აქტივობა
2. სამეცნიერო გრანტი - საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ან ბნსუ-ს პარტნიორების მიერ ან სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მიერ ან ან ბნსუ-ს მიერ მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტი ან მაღალი საერთაშორისო შეფასების მქონე სამეცნიერო პროექტი, რომელიც იქნება წარდგენილი დაფინანსების მოპოვების მიზნით	თითოეულ წელს ერთი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთ-ერთ აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთზე მეტი აქტივობა	ყოველ 2 წელიწადში ერთ-ერთი აქტივობა
3. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით, თეზისების გამოქვეყნებით (ინდექსირებული Web of Science-ის ან Scopus-ის ან Google scholar-ის მიერ).	თითოეულ წელს ერთი აქტივობა			

9.3. აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისადმი წაყენებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვის (სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების) და ზემოთ მითითებული სტანდარტის (ნორმატივის)/სხვა დადგენილი სტანდარტების შესრულების შემთხვევაში.

9.4. აფილირებული აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების/ნაშრომების გათვალისწინება ხდება იმ შემთხვევაში, თუ პირმა, რომლის ავტორობით ან თანაავტორობითაა გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაცია, მიუთითა, რომ მიეკუთვნება ბნსუ-ს აკადემიურ პერსონალს, და კვლევების ცენტრს წარუდგინა გამოცემის დედანი/ასლი (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით). ცენტრი ვალდებულია გადაამოწმოს ინფორმაციის ნამდვილობა და მისთვის წარდგენილი დოკუმენტები გადასცეს ბნსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს პირის პირად საქმეში შენახვის მიზნით;

9.5. ბნსუ უფლებამოსილია შეფასების მიზნით გამოიყენოს ზემოთ მოცემული სქემა, შეიტანოს მასში ცვლილებები ან შეიმუშაოს და გამოიყენოს ეფექტიანობის შეფასების სხვა სისტემა.

9.6. ამ წესით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის უნივერსიტეტის რექტორი ქმნის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წლიური შეფასების კომისიას, რომლის შემადგენლობაში შესაძლოა შევიდნენ:

ა. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ბ. კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი;

გ. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;

დ. მოწვეული სპეციალისტი, რომელიც უნდა იყოს დოქტორის ხარისხის მქონე პირი;

ე. უნივერსიტეტში არსებული მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები. ცალკეულ შემთხვევაში, კომისია შესაძლოა დაკომპლექტდეს ისეთი პირებით (მათ შორის მოწვეული ექსპერტებით/სპეციალისტებით), რომელთა გამოცდილება იძლევა საშუალებას ჯეროვნად შეფასდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. კომისია განიხილავს თითოეული პერსონალის თვითშეფასებას და ანიჭებს შესაბამის შეფასებას. კომისიის მუშაობა წარმართება კოლეგიური პრინციპით, კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.

9.10. ბნსუ-ში აღნიშნულ პროცედურას არეგულირებს ბნსუ-ში შემუშავებულია დოკუმენტი: „სამეცნიერო, პრაქტიკული და კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი“.

მუხლი 10 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგების მართვა/რეაგირება

10.1. აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორჯერ სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობა შესაძლოა საფუძვლად დაედოს აღნიშნულ პერსონალთან ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას. აქვე ასეთ შემთხვევაში პერსონალს ეძლევა შესაბამისი გაფრთხილება.

10.2. აკადემიური პერსონალის საბოლოო ქულების ასახვის და აღნიშნული ინფორმაციის დეკანებისთვის გაგზავნის შემდეგ, დეკანები ადგენენ კვლევის შედეგებზე რეაგირების ანაგრიშს, სადაც აისახება გამოვლენილი მნიშვნელოვანი შედეგები და რეაგირების მიზნით დაგეგმილი ან/და განხორციელებული აქტივობები. რეაგირებაზე მონიტორინგს ახორციელებს რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით.

მუხლი 11 დასკვნითი დებულებები

1. სამეცნიერო საქმიანობის განვითარების სტრატეგია მტკიცდება რექტორის ბრძანებით;
2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებები შეიძლება შეტანილ იქნას რექტორის ბრძანებით;